საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

ცაგერის რაიონის პრეფექტურისა და რაიონული საკრებულოს ორგანო

№ 116 (6493) 19 დეკემბერი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

## გამოიწერეთ „ლეჩხუმი"

ყველა საფოსტო განყოფილებაში მიმდინარეობს ხელმოწერა მომავალი 1992 წლისათვის რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე".

რესპუბლიკაში ქაღალდის მწვავე დეფიციტის, გაზეთის მომზადებისათვის საჭირო სხვა მასალების ძვირების გამო მოიმატა ხელმოწერის ფასმა და წლით ხელმოწერის ფასია 10 მანეთი და 80 კაპიკი, 6 თვით—5 მანეთი და 40 კაპიკი.

ხელმოწერა მიიღება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე „სოიუზპეჩატის" რაიონულ განყოფილებასა და კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის საფოსტო განყოფილებაში ყოველდღე.

გამოიწერეთ გაზეთი „ლეჩხუმი". იგი თქვენი მეგობლიური გაზეთია და თქვენი ჭირ-ვარამის გამზიარებელი იქნება.

## შეხვედრები შრომით კოლექტივებთან

რესპუბლიკაში, რაიონში არსებული დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ფსიქოზში, უიმედობაში აგდებს ადამიანებს. არადა, საუბედუროდ, არის ამის სრული საფუძველი — დახლები ცარიელია, სოკოებივით მომრავლდა კომერციული მაღაზიები, სადაც უზარმაზარი ფასები ადევს სასურსათო თუ სამრეწველო საქონელს, რაც მშრომელი ადამიანისათვის მიუწვდომელია, ადგილი აქვს სპეკულაციას, თვითნებურად მოძრაობენ ავტოტრანსპორტის მძღოლები. თვით რაიონის ცენტრსა და ცალკეულ სოფლებში გახშირდა წესრიგის დარღვევის შემთხვევები, ქურდობა, ბანდიტობა, მოსახლეობამ დაკარგა სიმშვიდე და მყუდროება.

რესპუბლიკასა და რაიონში შექმნილ სიტუაციაში გარკვევის, უწესრიგობის წინააღმდეგ ბრძოლის, არსებულ პრობლემათა ერთობლივად დაძლევის მიზნით რაიონის პრეფექტი, პრეფექტურისა და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები ადგილზე ხვდებიან შრომით კოლექტივებს.

18 დეკემბერს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის შენობაში შეიკრიბნენ თვით კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის, გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციის, რაიონული სტამბის, რაიცენტრის აფთიაქის შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე რესპუბლიკასა და რაიონში არსებულ მდგომარეობაზე ინფორმაცია გააკეთა რაიონის პრეფექტმა ტარიელ ალავიძემ. შეხვედრის მონაწილეებს ელაპარაკა შაქრის, პურპროდუქტების, საწვავისა და ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტზე, წესრიგისა და დისციპლინის დაცვის გზებზე. ითქვა, რომ საწვავის დეფიციტის გამო შემცირდა ადგილობრივი სამარშრუტო საავტობუსო რეისები. ამ ეტაპზე ავტობუსი იმოძრავებს მხოლოდ ცაგერი-ტვიშისა და ცაგერი-ოყურეშის მიმართულებით.

რაიონის პრეფექტმა უპასუხა მშრომელთა შეკითხვებს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ნაზიკო ფრუიძე, ია ასათიანი, ნანული სილაგაძე, ვლადიმერ დავითულიანი და სხვები.

დამსწრეთ გაეცნო და სიტყვით გამოვიდა შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ახლადდანიშნული უფროსი ამბროსი ლეჟავა.

* * *

ასეთივე შეხვედრა გაიმართა კინოფიკაციის, მრავალდარგობრივი საბინაო კომუნალური მეურნეობის, სიხდაზღვევის, ცენტრალური ბიბლიოთეკისა და სხვა წარმოება-დაწესებულებათა შრომით კოლექტივებთან.

## ინფორმაცია ფერმიდან

## საკვებზე გვიჭირს

ზუბიტარია. პირუტყვი ბაგურ კვებაზეა. ცაგერის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმას გამოსაზამთრებლად 100 სული პირუტყვი შემორჩა, აქედან 21 სული ჯიშიანი ფურია. ამჟამად 15 ფურია მეწველი, ყოველდღიური წველა კი 40 კილოგრამამდე ძლივს აღწევს.

ზამთარში პირუტყვისათვის ყველაზე მთავარი საკვებია, ჩვენ კი, ზამთარი ეს-ესაა დაიწყო და უკვე გვიჭირს. აეროპორტის სათიბში დათიბული 75 ტონა თივა უკვე გათავდა, ბოლნისიდან ნამჯის შემოტანა დავიწყეთ, ჯერჯერობით 14 ტონა გვაქვს შემოტანილი, სულ 100 ტონა მაინც უნდა შემოვიტანოთ, რომ ამ დაბალყუათიანი საკვებით პირუტყვმა ამ ზამთარს სული მაინც გაიტანოს, პროდუქტიულობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. კომბინირებული საკვები მხოლოდ 2 ტონა გვაქვს მარაგში.

პირუტყვს მონდომებით უვლიან მწყემსები ლია, ნოდარ, ბიჭიკო შკუბულიანები, ბუჭუ ზურაბიანი, მაგრამ საკვების გარეშე დარჩენილ ფერმას ვინ რით უნდა უშველოს. არადა ცაგერის კოლმეურნეობის სათიბებისა და სასიმინდე ფართობების პატრონს სირცხვილიც კია გამოსაზამთრებლად დაბმული 100 სული პირუტყვის შენახვა უჭირდეს, ეს მაშინ, როცა იყო დრო, 936 სულამდე პირუტყვის გამოზამთრება შეგვეძლო საკუთარი წარმოების თივითა და ფურაჟით. იკითხავთ, ახლა სად წავიდა ეს სათიბი და რატომ დროზე არ იზრუნეთ ფერმის საკვებით მომარაგებაზეო, მთლად ჩვენი ბრალიც არ არის, მოსახლეობამ, თივაც, ჩალაც სახლში წაიღო, ფერმა კი მოუმზადებელი შეხვდა ზამთარს.

**შ. ლეთოდიანი,**

ცაგერის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც არასდროს, ისე საჭიროებს სოფლის მეურნეობის აღორძინებას, გამჭრიახ წარმართველს. მხოლოდ გონიერი მეურნის შრომამ შეიძლება დაძლიოს არსებული სასურსათო პროდუქტის დეფიციტი. ამიტომაცაა, რომ სასკოლო ნაკვეთებს ჰყავს თავისი ყურადღებით ხელი.

## მოსწავლეთა წვლილიცაა

ერთდროს მიტოვებულ, დაუმუშავებელ ზვარსა თუ ყანას ახლა ჭეშმარიტი პატრონი გაუჩნდა. მიწისადმი მამა-პაპურმა სიყვარულმა მოზარდებშიც ჰპოვა თავისი გამოძახილი. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ჩხუტელის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა სკოლის კუთვნილი ნაკვეთიდან სახელმწიფოს 2500 კილოგრამი ყურძენი მიჰყიდეს, რითაც თავიანთი წვლილი შეიტანეს რაიონის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის გაწეულ საქმეში.

როგორც ჩხუტელის საშუალო სკოლის დირექტორმა ბორის მიქაძემ გვითხრა, მოსწავლეებს უკვე რამდენიმე წელია, სკოლის კუთვნილ ნაკვეთში, რომლის ფართობიც 0,8 ჰექტარია, არა მარტო ყურძენი, არამედ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებიც მოყავთ. მათივე მზრუნველობით მოვლილ ხეხილის ბაღში მიმდინარე წელს მოიკრიფს 3 ტონა ხილი.

სასკოლო ნაკვეთში მოზარდები აგრონომ დალაში მეშველიანის ხელმძღვანელობით ამუშავებენ 0,1 ჰექტარ საბოსტნეს, აქვთ მინი-ფერმაც, სადაც 15 სული გოჭი გამოზარდეს, რასაც რეალიზაცია უყვეს და 1070 მანეთი შემოსავალი მიიღეს.

რა თქმა უნდა, სარეკორდო მოსავალს არავინ ელის მოზარდებისაგან. რაც მთავარია, მათ აქვთ შესაძლებლობა სასკოლო ნაკვეთში დამოუკიდებლად შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, შეითვისონ გლეხური მეურნეობა, იქნება ეს ზვარის დამუშავება, თუ მეცხოველეობისათვის საკვების დამზადება, უპირველესად კი, მოწეული მოსავლის ხილვისას საკუთარი შრომის ფასი იგრძნონ.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ ვის და რას მოხმარდება სასკოლო ნაკვეთიდან მიღებული შემოსავალი, სკოლის დირექტორმა ბ. მიქაძემ გვიპასუხა:

—სასკოლო ნაკვეთის მიმდინარე წლის შემოსავალი, რომელიც დღეისათვის სულ 9770 მანეთს შეადგენს, პირველ რიგში სკოლის რემონტისა და მოსწავლეთა კვებისათვის გამოიყენება.

მიმდინარე წლის ამ ბოლო დღეებში ლეჩხუმელები კვლავ თავიანთი მთელი წლის ნაჯაფ-ნაამაგარს აბინავებენ, ზამთარს იმედიანად შეხვდნენ, რაშიც ჩხუტელის საშუალო სკოლის მოსწავლეთა წვლილიცაა.

**ლ. ცხვედიანი.**

## სიტყვა საქმიანი

ელექტროენერგია ყოველთვის იყო, მაგრამ არასოდეს ისეთი დეფიციტი, როგორიც დღეს. კანკალით ვანთებთ ადამიანები თითოეულ ნათურას და ამ დროს ისევ უდარდელობა, ისევ... რა დავარქვათ არ ვიცით. ქვედა ცაგერისაკენ მიმავალ ცენტრალურ გზაზე დღისით, მზისით გაჩახჩახებულია ელექტროლამპიონები. სამაგიეროდ, ღამე და ბნელი რომ ჩამოწვება, აქრობენ.

## დროებითი დებულება

## რაიონში გლეხური მეურნეობის განვითარების შესახებ

გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება პროექტი დროებითი დებულებისა „ცაგერის რაიონში გლეხური მეურნეობის განვითარების შესახებ". იგი შემდგომ განიხილება სოფლისა და სხვა დაინტერესებული შრომითი კოლექტივების კრებებზე.

დებულება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სოფლად წარმოების ურთიერთობათა გარდაქმნას, მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების რაციონალურად გამოყენებასა და დაცვას, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენას, გარემო ბუნების დაცვასა და გაჯანსაღებას, გლეხის ინტერესების გაზრდას პროდუქციის წარმოების გადიდებით და მისი ხარისხის გაუმჯობესებით.

რაიონის პრეფექტურა სთხოვს მშრომელებს, მათ შორის სპეციალისტებს, მუშაკებს, რომლებსაც გააჩნიათ სოფლის მეურნეობაში მუშაობის გამოცდილება, გულდასმით შეისწავლონ წარმოდგენილი პროექტი და თავიანთი წინადადებანი, შენიშვნები, მოსაზრებანი წარმოადგინონ პრეფექტურასა და რაიონული გაზეთის რედაქციაში.

იხილეთ მე-2 მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დროებითი დებულება

# რაიონში გლეხური მეურნეობის განვითარების შესახებ

### 1. გლეხური მეურნეობა, როგორც მეურნეობრიობის ფორმა

1. გლეხური მეურნეობა, სახელმწიფო და კოოპერაციულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან ერთად, წარმოადგენს ერთიანი აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენელ რგოლს და ამ მეურნეობაში დასაქმებულ პირთა შრომა ითვლება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობად.

2. სახელმწიფო იძლევა გლეხური მეურნეობის უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიას.

3. გლეხური მეურნეობა ეკონომიკურად დამოუკიდებელი ერთეულია, რომელიც აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას და თავისი შეხედულებით წარმართავს სპეციალიზაციის, წარმოების მოცულობისა და სხვა პარამეტრებით განსაზღვრულ საქმიანობას, ორგანიზაციას უწევს პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას.

4. სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეკრძალებათ ჩაერიონ გლეხური მეურნეობის სამეურნეო საქმიანობაში.

### 2. კანონმდებლობა გლეხური მეურნეობის შესახებ

გლეხური მეურნეობის შექმნასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით ურთიერთობანი რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებით და ამ დებულებით. დებულებაში შესწორებანი შეიტანება სახელმწიფო კანონმდებლობის ცვლილებათა შესაბამისად.

### 3. გლეხური მეურნეობის შექმნა

1. გლეხური მეურნეობა იქმნება ნებაყოფილობით საფუძველზე—სოფლის მოსახლეობისა და ცალკეული მცხოვრებლის სურვილის მიხედვით.

2. ყოფილი კოლმეურნეები და სახელმწიფო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც სურვილი გამოთქვეს შექმნან გლეხური მეურნეობა, განცხადებით მიმართავენ ადგილობრივ საკრებულოებს.

3. მიწის ფართობის მიღების უპირატესობა გლეხური მეურნეობის შესაქმნელად ენიჭებათ მოცემულ კოლმეურნეობასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დასაქმებულთ, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთ მათი მუშაობის გამოცდილების, კვალიფიკაციის, სხვა პირობებისა და ფაქტორების გათვალისწინებით.

4. საქართველოს რესპუბლიკის სხვა მოქალაქეებს მიწის ნაკვეთები გლეხური მეურნეობის მოსაწყობად ეძლევათ სარეზერვო მიწებიდან.

5. გლეხური მეურნეობის მიწის ნაკვეთების ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავენ ადგილობრივი საკრებულოები რეგიონალური თავისებურების, ფაქტიურად არსებული მიწის ფონდისა და გლეხური მეურნეობის შექმნის მსურველთა რაოდენობის, სპეციალიზაციის, უპირატესად გლეხური მეურნეობის წევრთა პირადი შრომის, მიცემული მიწების დამუშავების შესაძლებლობის გათვალისწინებით საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. მოქალაქის განცხადებასა და საკრებულოს წარდგინებას ერთი თვის ვადაში განიხილავს რაიონის პრეფექტურა ან საკრებულო.

7. გლეხური მეურნეობა შექმნილად ითვლება რაიონის პრეფექტურასთან შეთანხმებისა და სოფლის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ.

8. გლეხური მეურნეობის კონკრეტული დებულების რეგისტრაციას აწარმოებს შესაბამისი ადგილობრივი საკრებულო და რაიონის პრეფექტურა დადგენილი წესის მიხედვით.

9. გლეხური მეურნეობებისათვის მიწის ფართობის გამოყოფაზე სოფლის საკრებულოსაგან უარის მიღების შემთხვევაში გლეხს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს რაიონის პრეფექტურას ან სასამართლოს.

### 4. გლეხური მეურნეობის მიწათსარგებლობის საფუძვლები

1. გლეხური მეურნეობის შექმნის მსურველს მიწის ფართობი გამოეყოფა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. გლეხური მეურნეობის წევრს შრომის უნარის დაკარგვის ან საპენსიო ასაკის მიღწევის შემთხვევაში შეუძლია მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლება გადასცეს ან დროებით სარგებლობისათვის მისცეს ოჯახის ერთ-ერთ წევრს, რომელიც მასთან ერთად დასაქმებულია გლეხურ მეურნეობაში, ხოლო თუ ასეთი არ არის, დაუბრუნებს მას სოფლის საკრებულოს.

3. გლეხური მეურნეობის წევრებად ითვლებიან გლეხურ მეურნეობაში დასაქმებული პირები, მეუღლეები, მათი შვილები, მშობლები, სხვა ნათესავები, რომლებიც მუდმივად მუშაობენ ამ მეურნეობაში.

4. მემკვიდრეთა შორის წამოჭრილ დავას წყვეტს სასამართლო.

5. მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება, თვითნებური გაცვლა მათილია. გლეხური მეურნეობისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთი არ ექვემდებარება გაყოფას, მიწის ნაკვეთის ფლობის უფლება სამემკვიდრეოდ გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით. გლეხური მეურნეობისათვის გამოყოფილ მიწის ფართობზე საცხოვრებელი სახლებისა და სხვა კაპიტალურ ნაგებობათა მშენებლობის საკითხს ინდივიდუალური წესით განიხილავს და წყვეტს შესაბამისი რაიონის პრეფექტურა ან საკრებულო სოფლის საკრებულოს წარდგინებით.

6. ყოფილ კოლმეურნეებს, საზოგადოებრივი მეურნეობების მუშებს, სოფლის სხვა მცხოვრებთ, რომელთაც დადგენილი წესით შექმნეს გლეხური მეურნეობა თავის განკარგულებაში რჩებათ და კანონით დადგენილი წესით იყენებენ საკარმიდამო ფართობებს, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ გლეხური მეურნეობის შექმნამდე.

7. საკრებულოები ქმნიან მიწის სარეზერვო ფონდს, რომელიც შემდგომში გამოიყენება ახალი გლეხური მეურნეობის შესაქმნელად, სამოსახლოებად, მშენებლობისა და სხვა მიზნებისათვის.

### 5. გლეხური მეურნეობისათვის გამოყოფილი მიწით სარგებლობის უფლების შეწყვეტა

1. გლეხური მეურნეობისათვის გამოყოფილი მიწით სარგებლობის უფლება ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყდება:

ა. თუ გლეხი თავისი სურვილით უარს განაცხადებს გამოყოფილი მიწით სარგებლობის უფლებაზე;

ბ. თუ გლეხმა გამოყოფილი მიწა მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენა არასასოფლო-სამეურნეო წარმოების დანიშნულებით;

გ. თუ გლეხმა ჩაიდინა მიწათსარგებლობის კანონსაწინააღმდეგო ქმედება (საცხოვრებელი სახლის თვითნებურად აშენება, გასხვისება და სხვა);

დ. გლეხურ მეურნეობებს, მოიჯარეებს და სხვა მიწათმოსარგებლეებს, რომლებიც ორი წლის განმავლობაში დანიშნულების მიხედვით არ გამოიყენებენ მიწის ნაკვეთებს და არაფერს გააკეთებენ მისი ნაყოფიერების ამაღლებისათვის, ჩამოერთმევათ მიწის ნაკვეთები და გადაეცემათ სხვა მიწათმოსარგებლეებს ან გადაყვანილი იქნება სარეზერვო ფონდში;

ე. თუ წარმოიშვა გლეხური მეურნეობებისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გამოყენების აუცილებლობა, ამ შემთხვევაში რაიონის პრეფექტურა ან საკრებულო ვალდებულია გამოუყოს მას ტოლფასი მიწის ფართობი სხვა ადგილას. მიწის ფართობის გადაცემა საწარმოს ან ორგანიზაციისათვის მოხდება მას შემდეგ, რაც საწარმო ან ორგანიზაცია აუნაზღაურებს გლეხს მიყენებულ ზარალს (მრავალწლიანი ნარგავების, მიწის ფართობზე აგებული საცხოვრებელი სახლების, შენობა-ნაგებობათა და სხვათა ღირებულება);

2. თუ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში გადახდილი არ იქნება მიწის გადასახადი, გლეხური მეურნეობისათვის მიწის ჩამორთმევა ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საადგილმამულო დავას წყვეტს ადგილობრივი საკრებულო, სასამართლო ან სახელმწიფო არბიტრაჟი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 6. გლეხური მეურნეობის საკუთრება

1. გლეხურ მეურნეობას თავის საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს:

ა. საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობანი;

ბ. ნათესები და მრავალწლიანი ნარგავები;

გ. ტრაქტორები, სატვირთო ავტომანქანები, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები და ინვენტარი;

დ. მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი, ფუტკარი და სხვა;

ე. მის მიერ წარმოებული პროდუქცია;

3. სხვა ნებისმიერი ქონება, რომელსაც გლეხი საჭიროდ მიიჩნევს თავისი საქმიანობისათვის.

2. ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათს არასრულწლოვან შვილებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ერთი გლეხური მეურნეობა.

### 7. გლეხური მეურნეობის ქონების სამართლებრივი დაცვა

1. გლეხური მეურნეობის ქონებას იცავს სახელმწიფო კანონი, მისი განკარგვის უფლება ეკუთვნის მხოლოდ მეპატრონე გლეხს.

—გლეხური მეურნეობის ქონების იძულებით ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. გლეხი თავისი ვალდებულებისათვის პასუხს აგებს საკუთარი ქონებით, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით გადახდევინებას ექვემდებარება, სახელმწიფო პასუხს არ აგებს გლეხის ვალდებულებისათვის.

გლეხის და მისი ოჯახის წევრთა ქონებრივი ურთიერთობა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსებით.

### 8. შრომა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა გლეხურ მეურნეობაში

1. გლეხური მეურნეობის საქმიანობას საფუძვლად უდევს გლეხისა და მისი ოჯახის წევრთა პირადი შრომა.

2. გლეხური მეურნეობის შრომითი უფლებები და მოვალეობანი განისაზღვრება ამ დებულებით და საქართველოს რესპუბლიკის შრომის კოდექსით.

3. გლეხი და მისი ოჯახის 16 წლის ასაკზე უფროსი წევრები, რომლებიც გლეხურ მეურნეობაში მუშაობენ, ექვემდებარებიან სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას და სოციალურ უზრუნველყოფას მუშებისა და მოსამსახურეთა თანაბრად.

4. გლეხური მეურნეობა, როგორც დასაზღვევი, რეგისტრაციაში ტარდება შესაბამის ორგანოში და თავისი შემოსავლიდან ანარიცხები შეაქვს სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში ყველა მომუშავეზე ცალ-ცალკე, ოჯახის წევრებსა და პირებზე, რომლებიც შრომით ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობენ.

შესატანი თანხის ოდენობას განსაზღვრავს გლეხური მეურნეობის მეთაური, მაგრამ არანაკლებ იმ საშუალო პროცენტული ოდენობისა, რაც განსაზღვრულია სახელმწიფო საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, შენატანის მინიმალური ზღვარი რესპუბლიკის მოქალაქის საშუალო ხელფასის მინიმალური ზღვარიდან იანგარიშება.

5. გლეხურ მეურნეობაში ნამუშევარი დრო ჩაითვლება მუშაობის საერთო სტაჟში იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლითაც დასტურდება სოციალური დაზღვევის შენატანების გადახდა,

6. გლეხური მეურნეობები თავიანთი სახსრებით ატარებენ სოციალური განვითარების ღონისძიებებს (ბაგა-ბაღების შენახვა, გზების კეთილმოწყობა და სხვა);

7. გლეხური მეურნეობის ოჯახის წევრები მტკიცედ ახორციელებენ შრომის და უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო, საწარმოო ჰიგიენისა და სანიტარული წესების დაცვის ღონისძიებებს.

### 9. გლეხის მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენება

1. გლეხი მიწას და სხვა ბუნებრივ რესურსებს იყენებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით, იგი პასუხისმგებელია მისთვის გადაცემული მიწის, ტყის და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და მათი დაცვის მოთხოვნათა შესრულებისათვის.

გლეხი მოვალეა ეფექტიანად გამოიყენოს მიწა, იზრუნოს მისი ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მტკიცედ დაიცვას გარემო გაჭუჭყიანებისა და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან.

2. გლეხი საკუთარი სახსრებით და სახელმწიფო კრედიტებით ახორციელებს სარგებლობაში გადაცემულ მიწებზე ბუნების დაცვის ღონისძიებებს, იმ შემთხვევაში, თუ გლეხი არღვევს ბუნების დაცვის კანონს, პასუხისმგებლობა ეკისრება მას და ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სახელმწიფო გარანტიას იძლევა დაიცვას გლეხური მეურნეობისათვის გადაცემული მიწა, წყალი, ტყეები და სხვა ქონება.

4. სახელმწიფო საწარმო, ორგანიზაცია პასუხს აგებენ გლეხური მეურნეობისათვის მიყენებული ზარალისათვის, რომელმაც გამოიწვია გლეხური მეურნეობის შეზღუდვა.

—ამ შემთხვევაში გლეხურ მეურნეობას აუნაზღაურდება მიყენებული ზარალი (ხარჯები, ქონების დაღუპვა, დაზიანება, სამეურნეო საქმიანობის შეზღუდვის გამო მიყენებული ზარალი და სხვა).

ამ საკითხებთან დაკავშირებული სადავო საკითხები წყდება სასამართლოს წესით.

### 10. გლეხური მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია

1. გლეხი საკუთარი შეხედულებით გამოიყენებს მის მეურნეობაში წარმოებულ პროდუქციას.

2. გლეხს შეუძლია ნებაყოფილობით დადოს პროდუქციის მიყიდვის ხელშეკრულებანი სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებასა და გადამუშავებას, ან მიჰყიდოს იგი საკუთარი შეხედულებით სხვა ნებისმიერ მომხმარებელს და გაყიდოს ბაზარზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დროებითი დებულება

# რაიონში გლეხური მეურნეობის განვითარების შესახებ

### 11. გლეხური მეურნეობის დაკრედიტება და დაფინანსება

1. გლეხი უფლებამოსილია ისარგებლოს სახელმწიფო ბანკის კრედიტებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების გასაფართოებლად, მიწის, ბუნებრივი და მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოსაყენებლად, წარმოებული პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად.

გლეხს უფლება აქვს გახსნას ანგარიში სახელმწიფო, კომერციული ბანკის დაწესებულებაში საკუთარი ფულადი სახსრების შესანახად და ანგარიშსწორებისათვის.

2. საანგარიშსწორებო ანგარიშის მფლობელი გლეხი თავისუფლად განაგებს ამ ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებს. საანგარიშსწორებო ანგარიშიდან სახსრების გამოყენება ხდება როგორც უნაღდო, ასევე ნაღდ ანგარიშზე.

გლეხის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან ფულის განაღდება ხდება ბანკის დაწესებულებაში საანგარიშსწორებო საბუთების შემოსვლის კალენდარული რიგითობის მიხედვით.

3. გლეხის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან ფული ჩამოიწერება მხოლოდ მისი ნებართვის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

4. სახელმწიფო და კომერციული ბანკის დაწესებულებებს შეუძლიათ გლეხს მისცენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტები დადგენილი წესის შესაბამისად.

5. გლეხს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა საკრედიტო ხელშეკრულებისა და საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ გლეხი დროულად ვერ დააბრუნებს კრედიტებს, ბანკს შეუძლია გამოიყენოს გირაოდ მიღებული ქონების რეალიზაციის უფლება და რეალიზაციის ამონაგებით დაფაროს დავალიანება.

6. სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან დააკრედიტონ გლეხური მეურნეობანი ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე.

### 12. გლეხური მეურნეობის გადასახდელები

1. გლეხური მეურნეობების გადასახდელების გადახდევინება ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე ნატურით ურთიერთშეთანხმებული საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც არ აღემატება 5 წლის საშუალო შემოსავლის 25 პროცენტს.

2. მიწის გადასახადები ირიცხება ადგილობრივი საკრებულოს და რაიონის ბიუჯეტში და ხმარდება უწინარეს ყოვლისა, მიწების დაცვას და ხარისხის გაუმჯობესებას, აგრეთვე მიწათმოწყობასა და ტერიტორიის სოციალურ განვითარებას.

3. მიწის ქირის გადახდევინების შეღავათები, გარკვეული ვადით სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება, გადახდის გადავადება, მიწის გადასახადის განაკვეთის შემცირება ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 13. გლეხური მეურნეობის ქონების სახელმწიფო დაზღვევა

გლეხური მეურნეობის ქონების დაზღვევა წარმოებს მოქალაქეთა ქონების დაზღვევისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 14. გლეხური მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება

1. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ნებისმიერ ქონებას გლეხი შეიძენს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, ბაზარზე, მოსახლეობისაგან, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობის ქსელში, როგორც სახელმწიფო, ასევე შეთანხმებულ ფასებში.

2. გლეხური მეურნეობის წარმოებისათვის საჭირო ტექნიკის—ტრაქტორების, სატვირთო ავტომანქანებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს ახორციელებენ მომსახურების სფეროს საწარმოები, ორგანიზაციები, დადგენილი წესითა და ფასებით.

### 15. გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებები

გლეხურ მეურნეობებს შეუძლიათ სრული ნებაყოფილობის საფუძველზე გაერთიანდნენ კოოპერატივებად, ამხანაგობებად, კავშირებად, ამასთან შეინარჩუნონ თავიანთი სამეურნეო დამოუკიდებლობა და ამ კავშირებიდან თავისუფლად გასვლის უფლება.

### 16. გლეხური მეურნეობების ორგანიზაცია

1. თითოეული სოფლისა და რაიონის მიხედვით იქმნება კომისიები, რომლებიც შეიმუშავებენ წინადადებებს გლეხური მეურნეობების შექმნისა და მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამის საკრებულოებს.

2. გლეხური მეურნეობისათვის გადასაცემი მიწის ფართობი განისაზღვრება თითოეული სოფლის მიხედვით მიწის საერთო ფართობისა და გლეხური მეურნეობის შექმნის მსურველთა გათვალისწინებით.

### 17. გლეხური მეურნეობის ლიკვიდაცია

1. გლეხური მეურნეობის ლიკვიდაცია წარმოებს მასზე გადაცემული მიწის ამოღებით, რაც შეიძლება მოხდეს გლეხის სურვილით ან ხელისუფლების გადაწყვეტილებით, თუ დაირღვა გადაცემული მიწის გამოყენების დადგენილი წესი.

**რაიონის პრეფექტურა.**

---

## გილოცავთ ახალ დაქორწინებულებს!

**ირა სალინაძეს**
**ბიბლა ლეთოდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**მირმან, სერგო, ხათუნა, მთვარისა შკუბულიანები.**

---

**მარიკა ომარის ასულ ჩხეტიანს**
**გოჩა გურამის ძე ჩაკვეტაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარულსა და სიკეთეს აეყვავებინოს თქვენი ოჯახი, გოგო-ბიჭებს აეხმიანებინოს ეზო-კარი.

**მამუკა, მანანა, ნანა, მაია, მალხაზ მამარდაშვილები.**

---

**ირა მიშას ასულ სალინაძეს**
**ბიბლა სეითოს ძე ლეთოდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი. გფარავდეთ ღმერთი.

**ლია, ფატი, ანზორ, ჯამბულ, როსტომ ლეთოდიანები.**

---

**ლალი ფანჯარაძეს**
**ამირან სალინაძეს**

გილოცავთ ცხოვრებაში ყველაზე ლამაზ დღეს—ბედნიერებას, გისურვებთ ულევ სიხარულს და უჭკნობ სიყვარულს. ღმერთი იყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახის მფარველი აწ და მარადის.

**ლია მუშკუდიანი.**

---

**ნანა ვარლამის ასულ მურცხვალაძეს**
**ემზარ სოკრატის ძე კოპალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შვილმრავალი, ფუძემტკიცე ოჯახის შექმნას.

**ნაირა, გრიგოლ სალინაძეები, სოფო, კახა მუშკუდიანები, იდენი ნემსწვერიძე ოჯახებით.**

---

**მარიკა ჩხეტიანს**
**გოჩა ჩაკვეტაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარულით გაბრწყინებული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრება. გფარავდეთ ღმერთი.

**ავთო მამარდაშვილი.**

---

**ირა სალინაძეს**
**ბიბლა ლეთოდიანს**

გილოცავთ თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ლამაზ—ქორწინების დღეს.

**წესტან, თინათინ სალინაძეები.**

---

## გილოცავთ

**მერი ცხვედიანს, სოზარ ცვარიანს**

გილოცავთ ნანას ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

**დათო გრიშას ძე ხეცურიანი ოჯახით.**

---

**მერი სოლომონის ასულ ჩაკვეტაძეს**
**შოთა დარისპანის ძე ყურაშვილს**

გილოცავთ შვილის, მამუკას ჩარიცხვას უნივერსიტეტში. კვლავ წარმატებებს ვუსურვებთ.

**ელისო ყურაშვილი, დემურ გოლეთიანი.**

---

**ლეილა, ვახტანგ ომანაძეებს**

გილოცავთ შვილიშვილის და დისშვილის შეძენას. გაიზარდოს სასახელო ვაჟკაცი.

**ნელი, ჟორა, ზაზა აკობიძეები.**

---

**სოფო, გოჩა, ფოთოლა, თამაზ, ჟუჟუნა, ვასო სვანიძეებს**

გილოცავთ შვილის, შვილიშვილისა და შვილთაშვილის შეძენას. გაიზარდოს ჯანმრთელი და ბედნიერი ვაჟკაცი.

**ნელი, ჟორა, ზაზა აკობიძეები.**

---

**მერი, სოზარ ცვარიანებს**

გილოცავთ შვილის, ნანას ბედნიერებას, იხარონ და იმრავლონ, ღმერთი იყოს მათი მფარველი.

**გოგიტა, გაგა, გიზო, დალი კოპალიანები.**

---

**სოფო, გოჩა, ფოთოლა, თამაზ სვანიძეებს**
**ლეილა ხვადაგიანს, ვახტანგ ომანაძეს**

გილოცავთ შვილის, შვილიშვილის და დისშვილის შეძენას. აღზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

**ნატო, ლილი, ჯემალ დავითულიანები.**

---

**დათუნა, თემურ ლეთოდიანებს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გფარავდეთ მაღალი ღმერთი აწ და მარადის.

**დალი, ტულუ ხაბულიანები.**

---

**მარინე არტემის ასულ ალავიძეს**
**მირზა გრიშას ძე კვენეტაძეს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი, შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

**ჟურონი, შორენა, ციცო, ნანი, ფაქიზო, ნუნუკა, მადონა, ნორა, ვარა, ეთერ აგიაშვილები, ეთერ ქლიბაძე.**

---

რედაქტორის მოადგილე

მ. ძნელაძე.

---

## ხსოვნა

### ნინა აკობიძე

როგორ მოგვენატრე დედა! რა ძნელი ყოფილა უშენოდ, სად გაქრა შენი ლამაზი ღიმილი, რა ძალამ გაანელა შენი გულის სითბო. „ველარ გიხილავთ ვიცით ველარსად, მაინც დაგეძებთ, გიპოვით თითქოს, ღრუბლიანია ჩვენთვის ახლა ცა, მზესაც აღარ აქვს ჩვეული სითბო“.

როგორ გვაკლიხარ დედა, ჩვენო ერთადერთო იმედო, თვალცრემლიანი შენს სურათს ვეჩურჩულებით. მამა მოულოდნელად გარდაიცვალა 35 წლისა, უმამოდ გვზრდიდი ობლებს. დედაც იყავი და მამაც. ჭირდა ცხოვრება, მაგრამ არაფერს გვაკლებდი, თავს დაგვკანკალებდი.

ცხოვრება თავის გზით მიდის. ახლა ჩვენ დაოჯახებულები ვართ. შენი შვილიშვილები ჯუმბერი, ნატო, ნინო სულ შენს ხსენებაში არიან, მაგრამ პატარა გიორგის არ ახსოვს ნინა ბებო. ის ხომ 6 თვისა დატოვე. შვილებისა და შვილიშვილების აღზრდას შეალიე შენი გული და ენერგია, ბოლოს სწორედ გულმა გიმტყუნა.

23 დეკემბერს ერთი წელი სრულდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ, სამუდამო სასუფეველი დაიმკვიდრე.

ნათელი შენს სახელს, შენი ხსოვნა, საფლავი შენი არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

**დემური, დოდო.**

შვილები მურა, ნაზიკო, ჟენია, სიძეები ბიჭიკო რეხვიაშვილი, გიზო ახვლედიანი, რამაზ ხეცურიანი, ლომერ ბაკურაძე, მურთაზ ქობულაძე, შვილიშვილები მარიეტა, მირიანი, რობერტი, როზეტა, ვიოლეტა, ივეტა, ზურიკო, და ნიურა, შვილთაშვილიშვილები, რძლები, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**პასიკო ბესარიონის ასული ხალინაძე-მეშველიანი**

დაკრძალვა 19 დეკემბერს, ხუთშაბათს სოფ. ჩხუტელში.

---

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ამალია, ნოდარ მესხიძეებს ბიძაშვილის

**დავით პავლეს ძე ქარხელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

რაიაგროშიმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რეზო ასათიანს დედის

**საშა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

კოლმეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ილუშა ასათიანს დედის

**საშა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სონია, ლერი სილაგაძეები ოჯახით იუწყებიან

**ვერა თვარაძე-კოპალიანის**

გარდაცვალებას.

---

გიგლა ხვადაგიანი, ყორა, მელორ, რამაზ ფირცხალავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვერა ილარიონის ასული თვარაძე-კოპალიანი**

---

რაინდი მიქაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მარიამ ხერგიანი-გოგებაშვილი**

---

რამაზ სილაგაძე, ვანო ტვილდიანი, მიხა ზურაბიანი, მურმან თევდორაძე, ზაურ ახვლედიანი, რამაზ მახარობლიძე, ლერი სალინაძე ოჯახებით იუწყებიან

**მურმან მელიტონის ძე ნემსწვერიძის**

გარდაცვალებას.

---

დავით ნემსწვერიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალნენ

**ზაზი და ნადია ბრეგვაძეები.**

---

ცაგერის საშუალო სკოლის IV-ა კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ლელი ბურჯალიანი თანაუგრძნობენ ზურიკო ასათიანს ბებიის

**საშა ასათიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის VIII კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი ელისო ხვადაგიანი თანაუგრძნობენ გრიგოლ და ირაკლი ბურჯალიანებს სიდედრისა და ბებიის

**მარიამ ვახილის ასული ხერგიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლია, შოთა ლიპარტელიანები იუწყებიან

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალებას.

---

პიერ ფუტკარაძე, ანზორ ჩაკვეტაძე, შერაგი ჯიაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მანანა ყურაშვილს მშობლების

**მარიამ მამარდაშვილის**

და

**აბესალომ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ქეთო, შვილები მედიკო, მალვინა, ლორინა, ზურაბი, რძალი ლილი ბურჯალიანი, სიძეები ოთარ გოდერიძე, ავერიონ ნემსწვერიძე, შვილიშვილები ქეთინო, კოტე, გია, ლია, ვერიკო, გოჩა, შვილთაშვილები ზურიკო, დათო, ოთარი, ნათია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ ამბროსის ძე სვანიძე.**

დაკრძალვა 21 დეკემბერს, შაბათს, სოფ. ლაილაშში.

---

შვილები მერი, ლილი, კაკო, რომანი, გერონტი, ავთო, რძლები ლენა, ნუნუ, ლოდო, ნანი, იზო, ლეილა, სიძეები გრიგოლ კოპალიანი, გერონტი ბურჯალიანი, დები თამარი, ვასასი, შვილიშვილები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოგუცა ბაგილაძე-ცქვიტინიძე.**

დაკრძალვა 24 დეკემბერს, სამშაბათს, ქ. ცაგერში.

---

[illegible] ჯემალ [illegible] ზ ახვლედიანი, [illegible] კოტე ლაკვეხელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**[illegible] ტონის ძე [illegible] ძე.**

---

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თინა ქარდავა თანაუგრძნობენ დავით კოპალიანს დედის

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

კაკო, იური, რომან ბრეგვაძეები, რომან ბენდელიანი, ანზორ დავითულიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნადია ბრეგვაძე-მუშკუდიანი.**

---

რომან, ვაჟა, ავერიონ მუშკუდიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ელისო, ანზორ უგრეხელიძეებს

**მარიამ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს დავით, კახა კოპალიანებს დედის და ბებიის

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რაიცენტრალური ათთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მზია ნემსწვერიძეს და დათო ჩახულიანს მამისა და სიმამრის

**მურმან ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერისა და ქალაქ ცაგერის საკრებულოების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჟენია მეშველიანს დედის

**პასიკო მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

კლინიკოდიაგნოსტიკური ლაბორატორიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზი და გიზო ახვლედიანებს დედისა და სიდედრის

**პასიკო მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

კაკო, დიმიტრი, ბუჩუ მურცხვალაძეები, ვალიკო მეშველიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ კახა და იზო კოპალიანებს ბებიის

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედკოლექტივი, ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ მურმან ბრეგვაძეს ბებიის

**ზაზი ბრეგვაძის**

გარდაცვალების გამო.

---

დედა ელპიტე, შვილები ნელი, სოსო, ვალერი, და-ძმები თამარი, თინა, თალიკო, ჰოჭია, რძლები ვენერა, ლეილა, სიძე ოლეგი, შვილიშვილები, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ფაფალა ჰიჭიკოს ასული ჩაფრავა-ლაკვეხელიანი**

დაკრძალვა 19 დეკემბერს, ხუთშაბათს სოფ. ლაჯანაში.

---

გურამ, ანზორ, ემზარ, დათო მერაბ გუგავები, რომან ლეთოდიანი, ჰიჭიკო გურული, ზაურ, ვიტალი ლაზარიანები, ანზორ სილაგაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ თინა, დავით კოპალიანებს დედის

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

კოტე, ჯუმბერ, ნორა ლაკვეხელიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ფაფალა ჰიჭიკოს ასული ჩაფრავა-ლაკვეხელიანი**

---

რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე და რობერტ ახვლედიანებს ბებიის

**პასიკო მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაცორიის საშუალო სკოლის 1983 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ მზია და დათო ჩახულიანებს მამისა და სიმამრის

**მურმან ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ამირან ჩახულიანი ოჯახით იუწყება

**მურმან მელიტონის ძე ნემსწვერიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

სოცუზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ თინა კოპალიანს დედის

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

განათლების განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ დავით კოპალიანს დედის

**ვერა თვარაძე-კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

განათლების განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჟუჟუნა ონიანს ძმის

**შადიმან ონიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ქორა ლაკვეხელიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მურმან მელიტონის ძე ნემსწვერიძე.**

---

ჯიუ გურგუჩიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**შალვა ქრისტეფორეს ძე ხეცურიანი.**

---

გურამ გოგებაშვილი, ჯემალ ონიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჰიმენ მეგრელს და შარდენ გოგებაშვილს

**ზინა გოგებაშვილი-მეგრელის**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ მევლუდ მეგრელს დედის

**ზინა ილარიონის ასული გოგებაშვილი-მეგრელის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჟუჟუნა, ლელა ცხვედიანებს ძმისა და ბიძის

**შადიმან ონიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნინა, ჯოკია შკუბულიანები თანაუგრძნობენ დავით კოპალიანს დედის

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მიოზა, თამაზ, გივი, მანანა მდივნები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვერა კოპალიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზაურ ახვლედიანი, რაინდი ჩხეტიანი, გურამ დავითულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მურმან ნემსწვერიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეზობლები თამარ ლეშკაშელი, პავლე თვარაძე, ამბროსი ჯინჭარაძე, გურამ გოქაძე, დადაში, ჯემალ, მურთაზ, შალვა, ჯაბო ჩარჩიანები თანაუგრძნობენ ნათელა, ბონდო გურგუჩიანებს მამისა და სიმამრის

**შალვა ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სახლმშენებლობის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლალი კვირკაშვილს და საშა კოპალიანს

**სამსონ იოსების ძე კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ დავით კოპალიანს დედის

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ სვანიძე ოჯახით თანაუგრძნობს დავით კოპალიანის ოჯახს დედის

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაშა გივის ძე ბურჯალიანი ოჯახით იუწყება

**გრიგოლ სვანიძის**

გარდაცვალებას.

---

გრიშა ჩიქოვანი, შალვა ცვარიანი, გელა ხვადაგიანი, ზაურ ბენიძე, გურამ ხმელიძე, ზურაბ ჩიქოვანი, ვალოდია დავითულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ დავით კოპალიანს დედის

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მერაბ ჰილვარია ოჯახით თანაუგრძნობს ნაზიკო, გიზო ახვლედიანებს დედისა და სიდედრის

**პასიკო მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ დალი კვირკაშვილს ბიძის

**სამსონ კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ დავით კოპალიანს დედის

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რაიკოოპერატივის, საზკვების გაერთიანებისა და პურკომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ იზო, კახა კოპალიანებს ბებიის

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯანიკო ლეთოდიანი, ჯუმბერ ბენდელიანი, [illegible] ჯონი ხმელიძე, გიზო კალანდაძე, როლანდ [illegible] ელიშუქ, გივი ახვლედიანები, დალოსტი სვანიძე, მერაბ ბურჯალიანი, ჯუმბერ სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნაზიკო, გიზო ახვლედიანებს დედისა და სიდედრის

**პასიკო მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რამაზ მეგრელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**პასიკო მეშველიანი**

---

ვალოდია, გრიშა კვენეტაძეები, იური მახარობლიძე, რაინდი ბურჯალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მურმან ნემსწვერიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

თემურ გუგავა, თამაზ ახვლედიანი, დოდო უჩაძე, ვერა ყურაშვილი, ლენა ხეცურიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მურმან ნემსწვერიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცაგერის ბაგა-ბაღის თანამშრომლები იუწყებიან

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

რაიკოოპერატივის, პურკომბინატის, საზკვებისა და ალპანის დარგობრივი გაერთიანებების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე მიქაძეს მამის

**შარდენ მიქაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს დავით კოპალიანს დედის

**ვერას**

გარდაცვალების გამო.

---

კაკო მეშველიანი ოჯახით იუწყება

**პასიკო ბესარიონის ასული მეშველიანის**

გარდაცვალებას.

---

გულიკო ნემსწვერიძე, ავთანდილ დავითულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მურმან მელიტონის ძე ნემსწვერიძე.**

---

აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლიდა კვირკაშვილს ბიძაშვილის

**სამსონ კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ალექსანდრე მუშკუდიანი ოჯახით იუწყება

**ვერა თვარაძე-კოპალიანის**

გარდაცვალებას.

---

თენგიზ, დათო ჩიქოვანები ოჯახებით თანაუგრძნობენ დავით კოპალიანს დედის

**ვერა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ ცვარიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მურმან მელიტონის ძე ნემსწვერიძე.**

---

ჯიმშერ მურცხვალაძე ოჯახით იუწყება

**ვერა თვარაძე-კოპალიანის**

გარდაცვალებას.

---

გალაქტიონ ცხვედიანი, გენურ გოლეთიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჟუჟუნა ონიანს ძმის

**შადიმან ონიანის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის ხელშეწყობის დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.